30.ივლისი 2025

სპორტული საბჭოს ოქმი № 12

შემადგენლობა:
ალექსანდრე ლომაძე, მევლუდ მელაძე, ოთარ თავართქილაძე, ირაკლი კუხიანიძე, შოთა მამრიკიშვილი, დათო ნებიერიძე, მანუჩარ ომანაძე.

ფაქტი:
2025 წლის 19 ივლისს, შაბათს, დრიფტში საქართველოს ჩემპიონატის სარბოლო დღეს, კერძოდ ფინალური გარბენის დროს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მრბოლელები გიორგი გრიგალაშვილი და ირაკლი შალიკაშვილი, მოხდა შემდეგი რამ: ჩემპიონატის რეგლამენტის წესების მიხედვით, მრბოლელების მიერ შესრულებული ორი გარბენის შემდეგ, ჟიურის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დანიშნულიყო კიდევ ერთი გარბენი (ონე მორე ტიმე). თუმცა, იმის გამო, რომ ამ დროს მოხდა ამინდის მკვეთრი გაუარესება და შეიქმნა ტექნიკური პრობლემები, გარდა ამისა, გულშემატკივარი უკვე იმყოფებოდა სარბოლო მონაკვეთზე და ყველაფერი ეს ერთად აღებული ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა დანიშნულიყო დამატებითი გარბენები, რბოლის ხელმძღვანელმა თვითნებურად, რბოლის კომისართან შეუთანხმებლად მოსთხოვა ჟიურის წევრებს დამატებით ემსჯელათ და გამოევლინათ გამარჯვებული, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა.

ჟიურიმ ვერ დაიცვა რა თავის გადაწყვეტილება და მოექცა შეჯიბრის ხელმძღვანელის გავლენის ქვეშ, ხელმეორედ გამართა განხილვა და საბოლოოდ გამარჯვებულად გამოაცხადა გიორგი გრიგალაშვილი.

სპორტული საბჭოს გადაწყვეტილება:
სპორტულმა საბჭომ იმსჯელა მომხდარ ინციდენტზე, მოუსმინა ყველა მხარეს, მათ შორის განიხილა ჟიურის წევრების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაუქმდეს ფინალური რბოლის საბოლოო შედეგი, სადაც გამარჯვებულად გამოცხადდა გიორგი გრიგალაშვილი, ხოლო დამარცხებულად ირაკლი შალიკაშვილი და ფინალური რბოლა გაგრძელდეს იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა შეჯიბრის ხელმძღვანელის მხრიდან შედეგის განსაზღვრაში ჩარევა, კონკრეტულად კი ეგრედ წოდებული „ონე მორე ტიმე“-იდან, რაც გულისხმობს განმეორებით ფინალურ გარბენებს.

განმეორებითი გარბენები (ონე მორე ტიმე) გაიმართოს საქართველოს დრიფტის ჩემპიონატის მომდევნო (მეოთხე) ეტაპზე კონკრეტული ეტაპის რბოლების დაწყებამდე. თუ ეს შესაძლებელი არ იქნა რომელიმე მრბოლელის არყოფნის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, მაშინ ჩანიშნულის მომდევნო ეტაპზე, მაგრამ არა უგვიანეს საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპისა. თუკი სხვადასხვა საპატიო მიზეზით მაინც ვერ მოხდა ზემოთ ხსენებული მრბოლელების შეხვედრა, მაშინ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭო იტოვებს უფლებას განიხილოს არშემდგარი რბოლის მიზეზები და მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.